



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 4 (61)

ივნისი-ივლისი

1954 წელი

მ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
2. ბრძანებულება სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
3. ბრძანებულება სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
4. ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.
5. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის გადარქმევის შესახებ.
6. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის რეფო - შველეეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ პირველი შველეეთის გამოყოფისა და მისი ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროდ.
8. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.
9. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ.
11. ბრძანებულება ამხ. შ. ს. მინდიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.
12. დაჯილდოებულ ა. ი. ცაგარეიშვილის შუამდგომლობა ლენინის ორდენის დუბლიკატის მიცემის შესახებ.
13. სასოფლო საბჭოების გამსხვილების გატარებასთან დაკავშირებით, სასოფლო საბჭოების დეპუტატების რწმუნების შესახებ.
14. სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგერის გატარებისა და თვითდაბეგერის თანების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ გურჯაანისა და მახარაძის რაიონებში.
15. კოლმუერნეობების საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე საღაროების მუშაობის შესახებ ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონებში.
16. „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომ-

მელიც შეეხება ა. რ. აგრბასათვის და ლ. შ. კასლანძიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტიტის წოდების მინიჭებას.



17. „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულების დაწესების შესწორებაზე, რომელიც შეეხება შ. ა. ჯორჯაძის, მ. კ. კასლანდიას და ე. ზ. შარქიბაის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ თეთრიწყაროს დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად) და თეთრიწყაროს სასოფლო საბჭოს—თეთრიწყაროს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის შესახებ.

19. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგმასიური მუშაობის შესახებ მოსავლის აღებასთან დაკავშირებით თელავის, ქარელის და თეთრიწყაროს რაიონებში.

20. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ზამბახიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

21. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

22. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით
ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში
კ. დანკვეიჩის ოპერის „ბოგდან ხმელნიცკის“ დადგმის წარმატებით განხორ-
ციელებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

- | | |
|---------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|
| 1. დიმიტრიადის ოდისეი
ახილესის-ძეს | — თეატრის მთავარ დირიჟორს, საქარ-
თველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ
მოღვაწეს |
| 2. მკედლიძეს დიმიტრი
სიმონის-ძეს | — თეატრის დირექტორს, საქართველოს
სსრ დამსახურებულ არტისტს. |

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

- | | |
|-------------------------------------|---------------------------------------------------------------------|
| 1. სმოლიჩს დიმიტრი
ნიკოლოზის-ძეს | — შვეჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა
და ბალეტის თეატრის რეჟისორს |
| 2. ზლოჩევსკის პეტრე
ათანასეს-ძეს | — ოდესის საოპერო თეატრის მთავარ
მხატვარს. |

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

- | | |
|--------------------------------------|--------------------|
| 1. გეგუჩაძეს გრიგოლ
ვარლამის-ძეს | — თეატრის სოლისტს |
| 2. გიორგაძეს ლეილა
მიხეილის ასულს | — თეატრის სოლისტს |
| 3. პოპოვს მიხეილ
ივანეს-ძეს | — თეატრის სოლისტს. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.



2. ბრძანებულია სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. აგრბას აზიზ რამშიტის-ძეს
2. კასლანდიას ლევერსან შარდინის-ძეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. არგუნ-კონოშოკს ანა ბიდოს ასულს
2. ზუზბას მინალორა ივანეს ასულს
3. კოვეს მიხეილ ალექსის-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 14 ივნისი.

3. ბრძანებულია სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ავიძბა ნაზიმ — მსახიობი
ქიაზიმის-ძე
2. ვერულეიშვილი ალექსანდრე — მთავარი მხატვარი
ალექსანდრეს-ძე
3. გორგაძე შალვა — კომპოზიტორი
ალექსანდრეს-ძე
4. დბარი ვერა — მსახიობი
ქამშიშის ასული
5. ყაზბეგი ნიკოლოზ — მხატვარი
ივანეს-ძე
6. კასლანდია მარიამ — მსახიობი
კონსტანტინეს ასული

7. მარლანია ვლადიმერ — მსახიობი
კონსტანტინეს-ძე
8. მიქვაბია ჯარნას — მსახიობი
ტამშულის-ძე
9. შარქიბაი ეკატერინე — მსახიობი.
ზაქარიას ასული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 14 ივნისი.

4. ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

დანიშნოს ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 15 ივნისი.

5. ბრძანებულება აფხაზეთის ახსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის
გადარკმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ახსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგი-
ნება ქვემოჩამოთვლილი დასახლებული პუნქტების გადარკმევის შესახებ:

1. გუდაუთის რაიონის მეორე ანუხვის სასოფლო საბჭოს სოფელ სალ-
ხინოსი — სოფელ ვესელოვკად;
2. გაგრის რაიონის დაბის სასოფლო საბჭოს სოფელ სააგურის — სო-
ფელ კირპიჩნოედ;
3. სოხუმის რაიონის პსხუს სასოფლო საბჭოს სოფელ ვერცხლოვანის —
სოფელ სერებრიანოედ;



4. გაერთიანდეს გულრიფშის რაიონის ხევის სასოფლო საბჭოს სოფლები ხევი და ამტყელი ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ამტყელი, ხოლო ხევის სასოფლო საბჭოს — ამტყელის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 16 ივნისი.

6. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის რეფო - შეშელეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ პირველი შეშელეთის გამოყოფისა და მისი ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გალის რაიონის რეფო - შეშელეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ პირველი შეშელეთის გამოყოფისა და მისი ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 16 ივნისი.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროდ

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 17 ივნისი.

8. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი საქართველოს სსრ სატყეო და ქალაქის მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 17 ივნისი.

9. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად

დანიშნოს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 17. ივნისი.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების მიზნით გაერთიანდნენ:

აბაშის რაიონში

ტყვირისა და ქოლუბნის სასოფლო საბჭოები — ერთ ქოლუბნის სასოფლო საბჭოდ;

დიდი კვათანის სასოფლო და აბაშის სადაბო საბჭოები — ერთ აბაშის სადაბო საბჭოდ;

ადიგენის რაიონში

ზანავისა და ჩორჩანის სასოფლო საბჭოები — ერთ ჩორჩანის სასოფლო საბჭოდ და შემდგომ ჩორჩანის სასოფლო საბჭოს ეწოდოს დიდი სმადის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დიდსმადაში;

ზედუბნისა და ქეკელის სასოფლო საბჭოები — ერთ ქეკელის სასოფლო საბჭოდ;

სამყურისა და ლელოვანის სასოფლო საბჭოები — ერთ ლელოვანის სასოფლო საბჭოდ;

ფხეროსა და ბოლაჯაურის სასოფლო საბჭოები — ერთ ბოლაჯაურის სასოფლო საბჭოდ;

წახნისა და ვარხანის სასოფლო საბჭოები — ერთ ვარხანის სასოფლო საბჭოდ;

ამბროლაურის რაიონში

მუხლისა და წესის სასოფლო საბჭოები — ერთ წესის სასოფლო საბჭოდ; ძირაგეულისა, კრიხის სასოფლო და ამბროლაურის სადაბო საბჭოები — ერთ ამბროლაურის სადაბო საბჭოდ;

ბოსტანას და სადმელის სასოფლო საბჭოები — ერთ სადმელის სასოფლო საბჭოდ;

შრომისა და ზნაკვის სასოფლო საბჭოები — ერთ ზნაკვის სასოფლო საბჭოდ;

გორისუბნისა და ბუგეულის სასოფლო საბჭოები — ერთ ბუგეულის სასოფლო საბჭოდ;

პატარა ონისა და ლადიშის სასოფლო საბჭოები — ერთ ლადიშის სასოფლო საბჭოდ;

ღვარდიისა, თხმორისა და ცახის სასოფლო საბჭოები — ერთ ცახის სასოფლო საბჭოდ;

ხონჭიორისა და ნამანევის სასოფლო საბჭოები — ერთ ნამანევის სასოფლო საბჭოდ;

კაჩაეთისა და სინათლის სასოფლო საბჭოები — ერთ სინათლის სასოფლო საბჭოდ;

თლუღისა და კელიაღელის სასოფლო საბჭოები — ერთ კელიაღელის სასოფლო საბჭოდ;

წკადისისა და ხოტევის სასოფლო საბჭოები — ერთ ხოტევის სასოფლო საბჭოდ;

კორტისა და ველევის სასოფლო საბჭოები — ერთ ველევის სასოფლო საბჭოდ;

ფუტიეთისა და სხეავის სასოფლო საბჭოები — ერთ სხეავის სასოფლო საბჭოდ;

ასპინძის რაიონში

ოშორისა და იღუმალის სასოფლო საბჭოები — ერთ იღუმალის სასოფლო საბჭოდ;

ერკოტისა და აწყვიტის სასოფლო საბჭოები — ერთ აწყვიტის სასოფლო საბჭოდ;

ხერთვისისა და ტოლოშის სასოფლო საბჭოები — ერთ ტოლოშის სასოფლო საბჭოდ;

ახალქალაქის რაიონში

კოჩიოსი და ბარალეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ბარალეთის სასოფლო საბჭოდ;

მაჭატიისა და არაკვის სასოფლო საბჭოები — ერთ არაკვის სასოფლო საბჭოდ;

გოგაშენისა და ოკმის სასოფლო საბჭოები — ერთ ოკმის სასოფლო საბჭოდ;

გაუქმდეს ახალქალაქის სასოფლო საბჭო და მისი სოფლები — კიროვაციანი, მურჯახეთი, ჩამძვრალა (ჩანდურა) ნიეკუთენონ ვაჩიანის სასოფლო საბჭოს; სოფლები: გულიკამი და ხულგუმო — კარტიკამის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი დილისკა ჩუნჩხის სასოფლო საბჭოს და შემდგომ ჩუნჩხის სასოფლო საბჭოს ეწოდოს დილისკას სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დილისკაში;

ბოგდანოვკის რაიონში

ხანალისა და ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოები — ერთ ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოდ;

ჯივრაშენისა და ეშტიის სასოფლო საბჭოები — ერთ ეშტიის სასოფლო საბჭოდ;

ბოლნისის რაიონში

კაზრეთისა და ქვეშის სასოფლო საბჭოები — ერთ ქვეშის სასოფლო საბჭოდ;

არუხლოსი და იმირასანის სასოფლო საბჭოები — ერთ იმირასანის სასოფლო საბჭოდ;

ბორჯომის რაიონში

ტაძრისისა და დვირის სასოფლო საბჭოები — ერთ დვირის სასოფლო საბჭოდ;

ვანის რაიონში

ზედა ვანისა და ქვედა ვანის სასოფლო საბჭოები — ერთ ვანის სასოფლო საბჭოდ;

მთისძირისა და შუამთის სასოფლო საბჭოები — ერთ შუამთის სასოფლო საბჭოდ;

მიქელეფონისა და ტობანიერის სასოფლო საბჭოები — ერთ ტობანიერის სასოფლო საბჭოდ;

ზედა ბზვანისა და ქვედა ბზვანის სასოფლო საბჭოები — ერთ ბზვანის სასოფლო საბჭოდ;

თბალისის გარეუბნის რაიონში

კუმისისა და თელეთის სასოფლო საბჭოები — ერთ თელეთის სასოფლო საბჭოდ;

გეგეუკორის რაიონში

მუხურჩისა და ვედიდკარის სასოფლო საბჭოები — ერთ ვედიდკარის სასოფლო საბჭოდ;

ჯოლევისა და აბედათის სასოფლო საბჭოები — ერთ აბედათის სასოფლო საბჭოდ;

ნოლასი და კიწიის სასოფლო საბჭოები — ერთ კიწიის სასოფლო საბჭოდ;

გურძემისა და თამაკონის სასოფლო საბჭოები — ერთ თამაკონის სასოფლო საბჭოდ;

გორის რაიონში

ქვეშისა და ახალუბნის სასოფლო საბჭოები — ერთ ახალუბნის სასოფლო საბჭოდ;

ზერტისა და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოები — ერთ მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოდ;

ხურვალეთისა და შავშვების სასოფლო საბჭოები — ერთ შავშვების სასოფლო საბჭოდ;

ბერშუეთისა და ზედდუღეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ზედდუღეთის სასოფლო საბჭოდ;

ბნავეისისა და ხიდისთავის სასოფლო საბჭოები — ერთ ხიდისთავის სასოფლო საბჭოდ;

დრისა და ატენის სასოფლო საბჭოები — ერთ ატენის სასოფლო საბჭოდ;

გურჯაანის რაიონში

მუკუნისა და ველისციხის სასოფლო საბჭოები — ერთ ველისციხის სასოფლო საბჭოდ;

დმანისის რაიონში

საჯიისა და კიროვის სასოფლო საბჭოები — ერთ კიროვის სასოფლო საბჭოდ;

კამარლოსი და დმანისის სასოფლო საბჭოები — ერთ დმანისის სასოფლო საბჭოდ;

ღუშეთის რაიონში

ბაკალიგოსი და ბარისახოს სასოფლო საბჭოები — ერთ ბარისახოს სასოფლო საბჭოდ;

შესტაფონის რაიონში

ცხრაწყაროსი და კვალითის სასოფლო საბჭოები — ერთ კვალითის სასოფლო საბჭოდ;

ალავერდისა და კლდეეთის სასოფლო საბჭოები — ერთ კლდეეთის სასოფლო საბჭოდ;

ზუგდიდის რაიონში

კიროვისა და დარჩელის სასოფლო საბჭოები — ერთ დარჩელის სასოფლო საბჭოდ;

ახალკახათისა და კოკის სასოფლო საბჭოები — ერთ კოკის სასოფლო საბჭოდ;

ორულისა და ერგეტის სასოფლო საბჭოები — ერთ ერგეტის სასოფლო საბჭოდ;

ურთისა და ცაიშის სასოფლო საბჭოები — ერთ ცაიშის სასოფლო-საბჭოდ;

ხეცერისა და აბასთუმნის სასოფლო საბჭოები — ერთ აბასთუმნის სასოფლო საბჭოდ;

ზედა ეწერისა და კორცხელის სასოფლო საბჭოები — ერთ კორცხელის სასოფლო საბჭოდ;

კასპის რაიონში

ნიგოზისა და კოდისწყაროს სასოფლო საბჭოები — ერთ კოდისწყაროს სასოფლო საბჭოდ;

ერთაწმინდისა, ზემო ხანდაკისა და ახალქალაქის სასოფლო საბჭოები — ერთ ახალქალაქის სასოფლო საბჭოდ;

კაქრეთის რაიონში

მიხარადის, შიბლიანისა და კაქრეთის სასოფლო საბჭოები — ერთ კაქრეთის სასოფლო საბჭოდ, რომელსაც გამოეყოს სოფლები დარჩეთი და ნა-ნიანი და მიეკუთვნოს ჯიმითის სასოფლო საბჭოს;

ბოგდანოვიკისა და ყანდაურის სასოფლო საბჭოები — ერთ ყანდაურის სასოფლო საბჭოდ;

ლამბალოს, დუზაგრამის და იორმულანლოს სასოფლო საბჭოები — ერთ იორმულანლოს სასოფლო საბჭოდ;

ყვარლის რაიონში

ოქტომბრისა და ჭიკაიანის სასოფლო საბჭოები — ერთ ჭიკაიანის სასოფლო-საბჭოდ;

გრემისა და ენისელის სასოფლო საბჭოები — ერთ ენისელის სასოფლო-საბჭოდ;

მთისძირისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოები — ერთ ახალსოფლის სასოფლო საბჭოდ;

ქლუხორის რაიონში

ზედეაკისა და მადნისხევის სასოფლო საბჭოები — ერთ მადნისხევის სასოფლო საბჭოდ;

ქუთაისის რაიონში

საჩხეურისა და დღნორის სასოფლო საბჭოები — ერთ დღნორის სასოფლო-საბჭოდ;

ნამახვანისა და ოფურჩხეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ოფურჩხეთის სასოფლო საბჭოდ;

ქოგნარისა და კვახჭირის სასოფლო საბჭოები — ერთ კვახჭირის სასოფლო-საბჭოდ;

გოდოგნისა და ნაგარევის სასოფლო საბჭოები — ერთ ნაგარევის სასოფლო საბჭოდ;

ტყაჩირისა და პატრიკეთის სასოფლო საბჭოები — ერთ პატრიკეთის სასოფლო საბჭოდ;

ლენტეხის რაიონში

სასაშისა და ჯახუნდრის სასოფლო საბჭოები — ერთ ჯახუნდრის სასოფლო საბჭოდ;

ლანჩხუთის რაიონში

ქანჭათის, ზემო აკეთისა და ქვემო აკეთის სასოფლო საბჭოები — ერთ აკეთის სასოფლო საბჭოდ;

ქვიანისა და ჩოლაბარგის სასოფლო საბჭოები — ერთ ჩოლაბარგის სასოფლო საბჭოდ და შემდგომ ჩოლაბარგის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ნიგოითის სასოფლო საბჭო;

ლაშისღელის სასოფლო და ლანჩხუთის სადაბო საბჭოები — ერთ ლანჩხუთის სადაბო საბჭოდ;

მარნეულის რაიონში

არაფლოსი და შულაგრის სასოფლო საბჭოები — ერთ შულაგრის სასოფლო საბჭოდ;

მაიაკოვსკის რაიონში

როკითისა და დიშის სასოფლო საბჭოები — ერთ დიშის სასოფლო საბჭოდ;

ვარციხისა და როხის სასოფლო საბჭოები — ერთ როხის სასოფლო საბჭოდ;

მეორე ობჩისა და პირველი ობჩის სასოფლო საბჭოები — ერთ ობჩის სასოფლო საბჭოდ;

მცხეთის რაიონში

წეროვნისა და ნატახტრის სასოფლო საბჭოები — ერთ ნატახტრის სასოფლო საბჭოდ;

ონის რაიონში

ნაკიეთისა და უწერის სასოფლო საბჭოები — ერთ უწერის სასოფლო საბჭოდ;

შეუბნისა და ონის სასოფლო საბჭოები — ერთ ონის სასოფლო საბჭოდ;
ქვედისა და წედისის სასოფლო საბჭოები — ერთ წედისის სასოფლო საბჭოდ;

ორჯონიკიძის რაიონში

ბაბისა და მოლითის სასოფლო საბჭოები — ერთ მოლითის სასოფლო საბჭოდ;

ხიდარისა და ვარძიის სასოფლო საბჭოები — ერთ ვარძიის სასოფლო საბჭოდ;

მაქათუბნისა და ბორითის სასოფლო საბჭოები — ერთ ბორითის სასოფლო საბჭოდ;

სამტრედიის რაიონში

ქაგნისა და ღანირის სასოფლო საბჭოები — ერთ ღანირის სასოფლო საბჭოდ;

ჩხენიშისა და კულაშის სასოფლო საბჭოები — ერთ კულაშის სასოფლო საბჭოდ;

იანეთისა და ეწერის სასოფლო საბჭოები — ერთ ეწერის სასოფლო საბჭოდ;

ზედა ეწერისა და გომის სასოფლო საბჭოები — ერთ გომის სასოფლო საბჭოდ;

წიაღუბნისა და ოფეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ოფეთის სასოფლო საბჭოდ;

ოქტომბრისა და დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოები — ერთ დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოდ;

საჩხერის რაიონში

ლიჩისა და ქალოვანის სასოფლო საბჭოები — ერთ ქალოვანის სასოფლო საბჭოდ;

პერევისისა და ქალის სასოფლო საბჭოები — ერთ ქალის სასოფლო საბჭოდ;

თეთრიწყაროს რაიონში

კლდეისისა და ახკალაფის სასოფლო საბჭოები — ერთ ახკალაფის სასოფლო საბჭოდ;

თერჯოლის რაიონში

ქვედა ალისუბნისა და ზედა ალისუბნის სასოფლო საბჭოები — ერთ ალისუბნის სასოფლო საბჭოდ;

თიანეთის რაიონში

ტუშურებისა და ზარიძეების სასოფლო საბჭოები — ერთ ზარიძეების სასოფლო საბჭოდ;

ტყიბულის რაიონში

ახალსოფლის, ძიროვანისა და საწირის სასოფლო საბჭოები — ერთ საწირის სასოფლო საბჭოდ;

ძმუის-კისორეთისა და სოჩხეთის სასოფლო საბჭოები — ერთ სოჩხეთის სასოფლო საბჭოდ;

ხაშურის რაიონში

წრომისა და ხცისის სასოფლო საბჭოები — ერთ ხცისის სასოფლო საბჭოდ;

ღართისა და ღუდის სასოფლო საბჭოები — ერთ ღუდის სასოფლო საბჭოდ;

ვაყისა და გომის სასოფლო საბჭოები — ერთ გომის სასოფლო საბჭოდ;

ცაგერის რაიონში

ორხვისა და ტვიშის სასოფლო საბჭოები — ერთ ტვიშის სასოფლო საბჭოდ;

საირმისა და ალბანის სასოფლო საბჭოები — ერთ ალბანის სასოფლო საბჭოდ;

ნასპერისა და ლვირიშის სასოფლო საბჭოები — ერთ ლვირიშის სასოფლო საბჭოდ;

ისუნდერისა და ზუბის სასოფლო საბჭოები — ერთ ზუბის სასოფლო საბჭოდ;

ჩხუტელის სასოფლო და ცაგერის სადაბო საბჭოები — ერთ ცაგერის სადაბო საბჭოდ;

წალკის რაიონში

აიაზმისა და გუნიათკალის სასოფლო საბჭოები — ერთ გუნიათკალის სასოფლო საბჭოდ და შემდგომ გუნიათკალის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ედიქილისის სასოფლო საბჭო;

რეხისა და გუმბათის სასოფლო საბჭოები — ერთ გუმბათის სასოფლო საბჭოდ და შემდგომ გუმბათის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ავრანლოს სასოფლო საბჭო;

ოზნისა და კუშჩის სასოფლო საბჭოები — ერთ კუშჩის სასოფლო საბჭოდ; ახალიკისა და წალკის სასოფლო საბჭოები — ერთ წალკის სასოფლო საბჭოდ;

წითელწყაროს რაიონში

გაუქმდეს მირზაანის სასოფლო საბჭო და სოფელი მირზაანი მიეკუთვნოს ზემო მაჩხაანის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფლები ოზაანი და ცლუკაანი — არბოშიკის სასოფლო საბჭოს;

წულუკიძის რაიონში

ღვედისა და გორდის სასოფლო საბჭოები — ერთ გორდის სასოფლო საბჭოდ;

პატარა ჯიხაიშისა და გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოები — ერთ გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოდ;

ხიდისა და მათხოჯის სასოფლო საბჭოები — ერთ მათხოჯის სასოფლო საბჭოდ;

გუბისა და კუხის სასოფლო საბჭოები — ერთ კუხის სასოფლო საბჭოდ;

დედალაურისა და ახალშენის სასოფლო საბჭოები — ერთ ახალშენის სასოფლო საბჭოდ;

კონტუათისა და ნახახულევის სასოფლო საბჭოები — ერთ ნახახულევის სასოფლო საბჭოდ;

ცხაკაიას რაიონში

პირველი მაისისა და ხორშის სასოფლო საბჭოები — ერთ ხორშის სასოფლო საბჭოდ;

ოქტომბრისა და ნოსირის სასოფლო საბჭოები — ერთ ნოსირის სასოფლო საბჭოდ;

გაუქმდეს ბეთლემის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს სოფლები ბეთ-
ლემი და ზედა ნაქალაქევი ლეძაძამეს სასოფლო საბჭოს, სოფელი ლეკოკიე—
უშაფათის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი მეორე მონაში — ფოცხოს სა-
სოფლო საბჭოს;

წყალტუბოს რაიონში

ქვილიშორის და წყალტუბოს სასოფლო საბჭოები — ერთ წყალტუბოს
სასოფლო საბჭოდ;

ქიათურის რაიონში

სარქველეთუბნისა და რჯანის სასოფლო საბჭოები — ერთ რჯანის სა-
სოფლო საბჭოდ;

სკინდორისა და პერევისის სასოფლო საბჭოები — ერთ პერევისის სა-
სოფლო საბჭოდ;

ბერეთისისა და ნიგოზეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ნიგოზეთის სა-
სოფლო საბჭოდ;

ჩოხატაურის რაიონში

გოგოლესუბნისა და შუაგანახლების სასოფლო საბჭოები — ერთ შუაგა-
ნახლების სასოფლო საბჭოდ;

სამებისა და განახლების სასოფლო საბჭოები — ერთ განახლების სასოფ-
ლო საბჭოდ;

ბასილეთის, ბუენარისა და ქვენობანის სასოფლო საბჭოები — ერთ ქვე-
ნობანის სასოფლო საბჭოდ;

გორა-ბერეგოულისა და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოები — ერთ ჩაისუბ-
ნის სასოფლო საბჭოდ;

იანეულისა და ბუკისციხის სასოფლო საბჭოები — ერთ ბუკისციხის სა-
სოფლო საბჭოდ;

ჩხოროწყუს რაიონში

თაიას და მუხურის სასოფლო საბჭოები — ერთ მუხურის სასოფლო
საბჭოდ;

აფხაზეთის ახსრ

სოხუმის რაიონში

ახალსოფლისა და ბესლეთის სასოფლო საბჭოები — ერთ ბესლეთის სა-
სოფლო საბჭოდ;

გულრიფშის რაიონში

ბაბუშარისა და დრანდის სასოფლო საბჭოები — ერთ დრანდის სასოფ-
ლო საბჭოდ;

გაგრის რაიონში

დაბისა და კოლხიდის სასოფლო საბჭოები — ერთ კოლხიდის სასოფლო
საბჭოდ;

გუდაუთის რაიონში

ბამბორისა და ლიხნის სასოფლო საბჭოები — ერთ ლიხნის სასოფლო საბჭოდ;

გაუქმდეს მეორე ანუხევის სასოფლო საბჭო და სოფლები აძღაფშა, აჭანვა, გოგირდწყალი მიეკუთვნონ პრიმორსკის სასოფლო საბჭოს, სოფლები: მეორე ანუხევა, აჩირხა, ბამბუკოვანი, ბზისხევი, საჯოგე და ვესელოვკა — ანუხევის სასოფლო საბჭოს;

ოჩამჩირის რაიონში

ჯალის, მერკულისა და მოქვის სასოფლო საბჭოები — ერთ მოქვის სასოფლო საბჭოდ;

გამოეყოს მოქვის სასოფლო საბჭოს სოფელი არადუ და ჯუკმური და შეუერთდნენ ცაგერის სასოფლო საბჭოს და შემდგომში ცაგერის სასოფლო საბჭოს ეწოდოს არადუს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არადუში;

ახალდაბისა და აძუბეის სასოფლო საბჭოები — ერთ აძუბეის სასოფლო საბჭოდ;

ღვადისა და ჯგერდის სასოფლო საბჭოები — ერთ ჯგერდის სასოფლო საბჭოდ;

აკვასკისა და გუფის სასოფლო საბჭოები — ერთ გუფის სასოფლო საბჭოდ;

ზემო ბედიისა და აგუ-ბედიის სასოფლო საბჭოები — ერთ აგუ-ბედიის სასოფლო საბჭოდ;

გალის რაიონში

ხუმუშქურისა და ზემო ბარღების სასოფლო საბჭოები — ერთ ზემო ბარღების სასოფლო საბჭოდ;

გაგიდისა და განახლების სასოფლო საბჭოები — ერთ განახლების სასოფლო საბჭოდ;

სამხრეთ ოსეთის ა. ო.

ზნაურის რაიონში

ოქონისა და ზნაურის სასოფლო საბჭოები — ერთ ზნაურის სასოფლო საბჭოდ;

ჯავის რაიონში

ჯრისა და ჯავის სასოფლო საბჭოები — ერთ ჯავის სასოფლო საბჭოდ;

ლენინგორის რაიონში

ახალდაბისა და ლენინგორის სასოფლო საბჭოები — ერთ ლენინგორის სასოფლო საბჭოდ;

ძიმირისა (ყამურის) და ქარჩოხის სასოფლო საბჭოები — ერთ ქარჩოხის სასოფლო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

11. ბრძანებულება ამხ. შ. ს. მინდიაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. შოთა სპირიდონის-ძე მინდიაშვილი საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 ივნისი.

12. დაჯილდოებულ ა. ი. ცაგარეიშვილის შუამდგომლობა ლენინის ორდენის დუბლიკატის მიცემის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში, რომ აგრადინა ივანეს ასულმა ცაგარეიშვილმა ლენინის ორდენი დაკარგა ბინის გაქურდვის დროს და ის, რომ მას აქვს სამუშაოდან დადებითი დახასიათება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს ა. ი. ცაგარეიშვილის შუამდგომლობა და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მისცეს მას ლენინის ორდენის დუბლიკატი ნაცვლად დაკარგულისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.
1954 წ. 3 ივლისი.

13. სასოფლო საბჭოების გამსხვილების გატარებასთან დაკავშირებით, სასოფლო საბჭოების დეპუტატების რწმუნების შესახებ

1. სასოფლო საბჭოების გამსხვილების გატარებასთან დაკავშირებით, დადგინდეს, რომ გაერთიანებულ სასოფლო საბჭოების დეპუტატებს რჩებათ თავიანთი რწმუნება და შემდგომში, მორიგ არჩევნების ჩატარებამდე, ითვლებიან თავიანთი ამომრჩევლების წარმომადგენლებად მშრომელთა დეპუტატების გამსხვილებულ სასოფლო საბჭოებში.

2. იმის გამო, რომ ცალკეულ გამსხვილებულ სასოფლო საბჭოში დეპუტატების რიცხვი შეიძლება აღმოჩნდეს 35-ზე მეტი, იმ დროს, როდესაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დებულებით სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე იქნება არა უმეტეს 35 საარჩევნო ოლქისა, დარჩეს ამ სასოფლო საბჭოებში მორიგ არჩევნებამდე დაწესებულ ნორმას გადაჭარბებული რიცხვი დეპუტატებისა.

3. ერჩიით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს სასოფლო საბჭოების გამსხვილების შემდეგ მოიწვიონ სასოფლო საბჭოების

2. უწყებები № 4.

საქართველოს
კავშირების
ეროვნული
ბიბლიოთეკა

6426

ების სესიები, რომლებზედაც არჩეულ იქნან გამსხვილებული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მუდმივი კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის
დროებით აღმასრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.
1954 წ. 3 ივლისი.

14. სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის გატარებისა და თვითდაბეგვრის თანხების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ გურჯაანისა და მახარაძის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ გურჯაანისა და მახარაძის რაიონებში „სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილების გატარების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გურჯაანისა და მახარაძის რაიონების სასოფლო საბჭოებში ჩატარებულ სოფლის მოსახლეობის საერთო კრებებს, არ ჰქონდათ უფლება თვითდაბეგვრის გატარებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა, რადგანაც ამ კრებებს ესწრებოდა სოფლის სრულწლოვანი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები; თვითდაბეგვრის გადასახადისაგან განთავისუფლებულ მოქალაქეთა სიების გაფორმება რიც სასოფლო საბჭოებში არასწორად ხდებოდა.

შემოწმებულ რაიონებში ადგილი ჰქონდა თვითდაბეგვრის თანხების უკანონო ხარჯვის შემთხვევებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ველისციხის, გურჯაანის, ახაშისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომები თვითდაბეგვრის თანხებიდან ყოველთვიურ ხელფასს აძლევდნენ დაბრუნებას, მონტიორებს და სხვა პირებს; მახარაძის რაიონის თხინვალის, ჭანიეთის და გურჯაანის რაიონის მუკუხნის, ველისციხის, ჭანდრისა და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს თვითდაბეგვრის თანხები დახარჯული აქვთ შეშის, საკანცელარო ნივთების, ჟურნალ-გაზეთების, წიგნების შესაძენად, სამივილინებო ხარჯების დასაფარავად.

არ სრულდება სოფლის მოსახლეობის საერთო კრებების დადგენილებანი თვითდაბეგვრის თანხების მიზნობრივად ხარჯვის საქმეში. სასოფლო საბჭოების აღმასკომებში დიდი რაოდენობითაა დაგროვილი აუთვისებელი თანხები. მახარაძის რაიონში 1954 წლის პირველი ივნისისათვის 254.000 მანეთიდან აუთვისებელი იყო 252.000 მანეთი, ხოლო გურჯაანის რაიონში 325.000 მანეთიდან — 264.000 მანეთზე მეტი.

არ სრულდება თვითდაბეგვრის თანხების ამოღების გეგმები. გურჯაანის რაიონში 1953 წლის თვითდაბეგვრის თანხების ამოღების გეგმა შესრულებული იყო 91,3%, ხოლო 1954 წლის 1 ივნისისათვის 79,8%; მახარაძის რაიონში 1953 წლის გეგმა — 73% და 1954 წლის 1 ივნისისათვის — 34,3%. მიუხედავად ამისა მახარაძის და გურჯაანის რაიონების არც ერთ სასოფლო საბჭოს აღმასკომს არ მიუღია არავითარი ზომები იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელნიც არ იხდიან თვითდაბეგვრის გადასახადს.

სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოსახლეობის საერთო კრებებს არ აბარებენ ანგარიშებს თვითდაბეგვრის თანხების ხარჯვის შესახებ. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თვითდაბეგვრის თანხების ანგარიშწარმოება.

თვითდაბეგვრის გატარების, თანხების ამოღებისა და ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზი ის არის, რომ გურჯაანისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სოფლის საბჭოების მუშაობას ამ საკითხში, არ ამოწმებენ მათ და არ აძლევენ რჩევას თვითდაბეგვრის თანხების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის, არ ისმენენ აღმასკომის სხდომებზე სასოფლო საბჭოების ანგარიშებს თვითდაბეგვრის თანხების გაწერა-ამოღებისა და ხარჯვის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას სოფლის მოსახლეობაში თვითდაბეგვრის გატარების და თვითდაბეგვრის თანხების მიზანშეწონილად ხარჯვის საქმეს, რაც ძირითადად გამოყენებული უნდა იქნას სოფლების კეთილმოწყობაზე, ადგენს:

1. დაევალოს გურჯაანისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. ზ. ნიბლაძე და დ. საბაშვილი) მიიღონ ზომები სოფლის მოსახლეობაში თვითდაბეგვრის გატარებისა და თვითდაბეგვრის თანხების ამოღება-ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოთ, რისთვისაც:

ა) უმოკლეს ვადაში შეამოწმონ და მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე თვითდაბეგვრის გატარების, თანხების ამოღებისა და ხარჯვის მდგომარეობა სასოფლო საბჭოებში და დასახონ ღონისძიებანი თანხების მთლიანად ამოღებისა და მიზნობრივად ხარჯვისათვის;

ბ) ყურადღება მიაქციონ, რათა თვითდაბეგვრის გატარებისას არ დაირღვეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილება „სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“;

გ) დაევალოს სასოფლო საბჭოებს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში სოფლის მოსახლეობას თვითდაბეგვრის თანხების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ;

დ) ერჩიოს სასოფლო საბჭოებს თვითდაბეგვრის ხარჯვის გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ გზების გაყვანა და შეკეთება, სკოლების, ხიდების, აბანოების მშენებლობა და რემონტი და სოფლის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ღონისძიებანი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ „სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილების გატარების მდგომარეობა სასოფლო საბჭოებში და მიიღონ ზომები აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. ბ. ჩხეიძე) პერიოდულად გაუწიოს კონტროლი თვითდაბეგვრის თანხების სწორად ხარჯვას საქართველოს სსრ რესპუბლიკის რაიონებში.

4. რჩევა მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დე-

პუტატების საბჭოს აღმასკომს შეამოწმონ „სოფლის მოსახლეობის თვითდა-
ბეგერის შესახებ“ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 11 სექტემბრის დადგენილების
გატარების მდგომარეობა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში და მიიღონ
ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის
მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.
1954 წ. 3 ივლისი.

**15. კოლმეურნეობების საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების
მუშაობის შესახებ ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონებში**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ
ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონების შემოწმებულ კოლმეურნეობების
ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობა არ არის დაყენებული სათანადო
სიმაღლეზე. სალაროების გამგეობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის-
უნარდაკარგულ კოლმეურნეობის, ინვალიდების, უდემამო ბავშვებისა და
მრავალშვილიან დედებისათვის, მატერიალური დახმარებისა და საყოფაცხოვ-
რებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. ზოგიერთ კოლმეურნეობის ურთი-
ერთდამხმარე სალაროს არ გააჩნია წესდება, ნაკლებად ზრუნავს ყველა კოლ-
მეურნის სალაროს წევრად მიღებისათვის. ახალციხის რაიონში ურთიერთ-
დამხმარე სალაროს წევრებად ირიცხება შრომისუნარიან კოლმეურნეთა
67,2%, ბოგდანოვკის რაიონში—37,5%. სალაროები ვერ უზრუნველყოფენ
საწევრო გადასახადებისა და კოლმეურნეობის საერთო შემოსავლიდან კუთ-
ვნილი ანარიცხების შეგროვებას. რიგ კოლმეურნეობებში ურთიერთდამხმარე
სალარო არსებობს ფორმალურად და მის ფუნქციებს ასრულებს კოლმეურნეობის
გამგეობა. კოლმეურნეობების გამგეობები სათანადოდ არ აფასებენ ურთიერთ-
დამხმარე სალაროების მნიშვნელობას და არ ურიცხავენ მათ კოლმეურნეობათ.
საერთო შემოსავლიდან კუთვნილ სახსრებს, რომელიც დადგენილია კოლმე-
ურნეობების კრებების მიერ.

ადგილი აქვს ურთიერთდამხმარე სალაროების თანხების არადანიშნულე-
ბისამებრ გამოყენების ფაქტებს. ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას
კოლმეურნეობის ურთიერთდამხმარე სალარომ კოლმეურნეობას სესხად მისცა
13.000 მანეთი, ხოლო არაკოლმეურნეს, მტს-ის აგრონომს 1.500 მანეთი,
რომელიც 1953 წლიდან დღემდე არ დაუბრუნებია. ადგილი აქვს სალაროე-
ბის გამგეობების მიერ საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს,
არ სწარმოებს ფულადი სახსრების სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში
შენახვა და მათი ანგარიშსწორება არაა გამოყოფილი კოლმეურნეობის საერთო
ბუხხალტერიიდან. სალაროების გამგეობები და მათი სარევიზიო კომისიები
არ იცავენ წესდებას, არ აბარებენ და არ ამტკიცებენ ანგარიშებს წევრთა
საერთო კრებებზე, არ იცავენ წესდებით გათვალისწინებულ ვადებში სალა-
როების გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნების წესს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მათი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები და სოფლის საბჭოების აღმასკომები არ უწყვიენ საჭირო დახმარებას ურთიერთდამხმარე სალაროებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას კოლმეურნეთა ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობას, შრომისუნარდაკარგულ კოლმეურნეთათვის, ინვალიდებისათვის, უღედმა მო ბავშვებისათვის და მრავალშვილიან დედებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში, აღგენს:

1. დაევალოს ახალციხისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. მ. ბალათურია, კ. დურგარიანი) გადამტკიცებული ზომები მიიღონ კოლმეურნობათა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად შეამოწმონ და მოისმინონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე კოლმეურნობათა ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობის საკითხები და მიაღწიონ სალაროების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას;

ბ) ჩაატარონ ურთიერთდამხმარე სალაროების გამგეობებისა და მათი სარევიზო კომისიებისათვის საინსტრუქციო თათბირები გამოცდილებათა გაზიარებისა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით;

გ) მიაღწიონ იმას, რომ ურთიერთდამხმარე სალაროებში დაცულ იქნას საფინანსო დისციპლინა, უზრუნველყონ სავალდებულო წესით ყველა ურთიერთდამხმარე სალაროსათვის სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშების გახსნა, არ დაუშვან სალაროს თანხების ხელზე, ან კოლმეურნობის სალაროში შენახვა და აღკვეთონ თანხების არადანიშნულებისადმი ხარჯვა;

დ) ურჩიონ კოლმეურნობებს, რომ დროულად გადაურიცხონ ურთიერთდამხმარე სალაროებს კოლმეურნობების საერთო შემოსავლიდან კოლმეურნობების კრებების მიერ დადგენილი ანარიცხები და აღკვეთონ დამხმარე სალაროების ფონდების უშუალოდ ხარჯვა კოლმეურნობების გამგეობების თავმჯდომარეების მიერ; აღრიცხონ კოლმეურნობებში ღრმა მოხუცებულნი, ინვალიდები, უღედმა მო ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება და უზრუნველყონ მათზე დახმარების გაცემა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. გ. გოჩაშვილი) კოლმეურნობების ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) პერიოდულად შეამოწმონ ადგილებზე საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების ფონდების შექმნის, საწევრო ანარიცხების დაგროვებისა და სალაროს ფონდების დანიშნულებისადმი გამოყენების მდგომარეობა და მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა დროულად გამოსასწორებლად;

ბ) ჩაუტაროს საინსტრუქციო თათბირები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოცუზრუნველყოფის განყოფილებების და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაკებს და მათი საშუალებით რეგულარულად გაუწიოს საჭირო დახმარება და კონტროლი კოლმეურნობათა ურთიერთდამხმარე სალაროების გამგეობებსა და სარევიზო კომისიებს პრაქტიკულ მუშაობაში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პერიოდულად შეამოწმონ ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობა და მიიღონ საჭირო ზომები მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

4. რჩევა მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, შეამოწმონ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის

მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.

1954 წ. 3 ივლისი.

16. „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატოო წოდებების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება ა. რ. აგრბასათვის და ლ. შ. კასლანძიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულებაში „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატოო წოდების მინიჭების შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი შესწორება: საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭოთ: აგრბას აზიზ რაშიდის-ძეს (და არა აგრბას აზიზ რამშიტის-ძეს) კასლანძიას ლევარსან შარდინის-ძეს (და არა კასლანძიას ლევარსან შარდინის-ძეს).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის

მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.

1954 წ. 13 ივლისი.



17. „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება შ. ა. გორგაძის, მ. კ. კასლანდიას და ე. ზ. შარქიბაის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივნისის ბრძანებულებაში „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი შესწორება: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ: გორგაძე შალვა ანთიმოზის-ძე (და არა გორგაძე შალვა ალექსანდრეს-ძე), კასლანდია მარიამ კონსტანტინეს ასული (და არა კასლანდია მარიამ კონსტანტინეს ასული), შაქირბაი ეკატერინე ზაქარიას ასული (და არა შარქიბაი ეკატერინე ზაქარიას ასული).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის
მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი.
1954 წ. 13 ივლისი.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ თეორიწყაროს რაიონის სოფელ თეთრიწყაროს დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად) და თეთრიწყაროს სასოფლო საბჭოს — თეთრიწყაროს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: გარდაიქმნას თეთრიწყაროს რაიონის სოფელი თეთრიწყარო დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად), ხოლო თეთრიწყაროს სასოფლო საბჭო — თეთრიწყაროს სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 24 ივლისი.

19. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანისიური მუშაობის შესახებ მოსავლის აღებასთან დაკავშირებით თელავის, ქარელის და თეთრიწყაროს რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თელავის, თეთრიწყაროს და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს

მოსავლის აღების საქმეში. მიუხედავად ამისა. მთელ რიგ სასოფლო საბჭოებს მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ არასაკმარისად სჩანს სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელი და მანორგანიზებელი როლი მოსავლის დროულად, ხარისხიანად და უდანაკარგოდ აღებაში. საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიებმა ვერ უზრუნველყვეს მოსავლის აღების საქმეში სოფლის აქტივის ფართოდ ჩაბმა.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოსავლის აღება ტარდება უხარისხოდ, ადგილი აქვს დანაკარგებს და დაბალია შრომის ნაყოფიერება. ნაკლები ყურადღება ექცევა ნამჯის შეგროვებას, გამოზიდვას და ზვინებად დადგმას.

თელავისა და თეთრიწყაროს რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს შრომისუნარიან კოლმეურნეების მიერ საკოლმეურნეო შრომისაგან თავის არიდების ფაქტებს. შემოწმებულ რაიონების რიგ კოლმეურნეობებში ქალთა შრომის მასიურად გამოყენების საქმეს ხელს უშლის სეზონური საბავშვო დაწესებულებების მოუწყობლობა.

ზოგიერთი კოლმეურნეობა მოსავლის აღებისა და გალევვისთანავე არ აბარებს სახელმწიფოს პურს, რასაც სასოფლო საბჭოები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

სასოფლო საბჭოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნას, ნელი ტემპით მიმდინარეობს უხეში და წვნიანი საკვების დამზადება. ა/წ 20 ივლისისათვის თელავის რაიონმა თივის დამზადების გეგმა შეასრულა 30,4%, ნამჯისა 2,2% და სილოსის ჩადებისა 17,9%; თეთრიწყაროს რაიონმა თივისა — 24,1%, ნამჯისა — 4,9% და სილოსისა 45,2%, ქარელის რაიონმა თივისა — 28,2%, ნამჯისა — 1% და სილოსისა — 12,8%.

შემოწმებული სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები სუსტად ხელმძღვანელობენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა კულტმასიურ მომსახურებას, სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლას და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას.

სასოფლო საბჭოების ორგანისიური მუშაობის საქმეში არსებული ნაკლოვანებები მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გამოწვეულია იმით, რომ თელავის, თეთრიწყაროს და ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები არ უწყევენ სასოფლო საბჭოებს სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს თელავის, თეთრიწყაროს და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მოსავლის უდანაკარგოდ და უმოკლეს ვადაში აღების მიზნით:

ა) ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები და სოფლის აქტივი მოსავლის აღების საქმეში, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა არც ერთი კოლმეურნეობა, ბრიგადა, კომბაინი და კალო არ დარჩეს მათი ყურადღების და დახმარების გარეშე;

ბ) თვალყური ადევნონ კოლმეურნეობებში კომბაინების, ტრაქტორების, სალევების, საწმენდი და სანიავებელ-დამხარისხებელ მანქანების შეუფერხებელ მუშაობას და არ დაუშვან მათი გაცდენის შემთხვევები. უზრუნველყონ კალოზე და ბელლებში სასასწორო მეურნეობის წესრიგში მოყვანა;

გ) მიიღონ გადაწყვეტილი ზომები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

დროულად უზრუნველყონ მომკილი ნაკვეთებიდან ნამჯის შეგროვება, გამო-
ზიდვა და დაზვინვა;

დ) პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულების მიზ-
ნით მიიღონ ზომები პურის ჰირველივე განალეწი დაუყოვნებლივ ჩააბარონ
სახელმწიფოს;

ე) სათანადო ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებში თივისა და წვნი-
ანი საკვების დამზადებას და სილოსის ჩადებას;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა შრომისუნარიან კოლ-
მეურნეთა საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმას, არ დაუშვან მათ მიერ კოლმეურ-
ნეობებში სამუშაოს თვითნებურად მიტოვების შემთხვევები;

ზ) ბავშვიანი კოლმეურნე ქალების საკოლმეურნეო შრომაში მაქსიმალე-
რად ჩაბმის მიზნით, კოლმეურნეობებში მოაწყონ სეზონური საბავშვო დაწე-
სებულებები;

თ) კოლმეურნეობებში კულტმასიური მომსახურების გაუმჯობესების მიზ-
ნით სისტემატურად მოეწყოს მინდვრად ბრიგადებში, რგოლებში და კალოებ-
ზე ჟურნალ-გაზეთების კითხვა, საუბრების ჩატარება, საველე ფურცლების გა-
მოშვება და სხვა კულტმასიური ღონისძიებების ვატარება;

ი) მიიღონ გადამკრელი ზომები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ
გასაშლელად სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და ცალკეულ ბრიგა-
დებს შორის და თვალყური ადევნონ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულე-
ბათა შესრულებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა
დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ
სასოფლო საბჭოებს მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მუშაობის გაუმჯო-
ბესებისა და ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 24 ივლისი.

**20. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ზამბახიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს
სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად**

დანიშნოს ამხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე საქართველოს სსრ
საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 27 ივლისი.

21. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი, „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

- | | |
|--------------------------------------|------------------------------------------------------|
| 1. არზუმანოვა მარიამ რაფიელის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 2. ბალაბანოვა პელაგია სტეფანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ავრანლო, წალკის რაიონი |
| 3. ბეჟანიან აგავნიკ არამის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ვაჩიანი, ახალქალაქის რაიონი |
| 4. ბიგანაშვილი ანა გიორგის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კოდისწყარო, დუშეთის რაიონი |
| 5. გალსტიან რაჩიკ გარეგინის ასული | — კოლმეურნე, სოფელი გოდოლარი, ახალქალაქის რაიონი |
| 6. გულბიანი ნინო საბას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ჩუკული, ლენტეხის რაიონი |
| 7. დავდიან ნუსმზარ აირაპეტის ასული | — კოლმეურნე, სოფელი დიდი სამსარი, ახალქალაქის რაიონი |
| 8. იასაგაშვილი ზარო ხეროს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბოსლები, დმანისის რაიონი |
| 9. კარაპეტიან შოგან მატევეოსის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბალხო, ახალქალაქის რაიონი |
| 10. კეშიშიან აიკან მისაკის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ვაჩიანი, ახალქალაქის რაიონი |
| 11. ლოსაბერიძე ბაბილო ვარდენის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კიროვი, ტყიბულის რაიონი |
| 12. შანიძე გოგუცა დავითის ასული | — დიასახლისი, სოფელი ქვაყუდე, სამტრედიის რაიონი |
| 13. შირინიან ხნაბერ ენოკის ასული | — კოლმეურნე, სოფელი მაკატია, ახალქალაქის რაიონი |
| 14. ცაცურიან თაგუშ პეტროსის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ალასტანი, ახალქალაქის რაიონი. |

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი, „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

- | | |
|----------------------------------|------------------------------------------------|
| 1. ავაპოვა ალაფია ალექსის ასული | — დიასახლისი, სოფელი წალკა, წალკის რაიონი |
| 2. აკოპიან არფენიკ ოკნენის ასული | — კოლმეურნე, სოფელი არაკვა, ახალქალაქის რაიონი |
| 3. არუთუნიან ნაზიკ არტაშის ასული | — კოლმეურნე, სოფელი გომანი, ახალქალაქის რაიონი |

- | | |
|-----------------------------------------|--------------------------------------------------------|
| 4. ბედინეიშვილი ცილა
